[illegible] № 60 1918 წ. პარასკევი, ოქტომბრის 18. № 360

ქართული საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

გენ. მაჟაშვილი დაინიშნა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში მომქმედ ჯარის სარდლად გენერალ-გუბერნატორის უფლებით. — ოსმალეთმა საზავო ნოტა გაუგზავნა შეერთებულ შტატებს. — ატლანტის ოკეანეში გერმანელებმა მოწინააღმდეგის რამოდენიმე სავაჭრო გემი დაჰღუპეს.

გულდათუთქულნი და ღრმად მწუხარენი მშობლები დედა სოფიო (საშიკო) სპირიდონის ასული, მამა ანთიმოზ ლუკას ძე, დები: ოლია, თამარ, მარუსია და სონა ანთიმოზის ასულნი მაღრაძენი, სიძეები: გრიგოლ ივანეს ძე ბერძენიშვილი, ილიკო გიორგის ძე ქართველიშვილი უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ-მეგობართ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 19-ს (ახ. სტ.) დღით შაბათს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და უსაყვარლესის ახალგაზრდა უდროოდ მოკლულ ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მე 6 კლასის მოწაფის და მოხალისედ მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის ჯარის კაცის

გიორგი (ჟორჟიკა) ანთიმოზის ძის მაღრაძის

სულის მოსახსენებლად ქ. ყვირილაში წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. წირვა 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. მიცვალებულის საფლავზე. 2053

მღვ. გაიოზ ლუკას ძე და მარიამ მაქსიმეს ასული, შვილები: თალიკო, კონსტანტინე, მელანია, მარიამ, ლუკა, ანა და თინა მაღრაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 19-ს გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის პირველის ძმისწულის, მეორისა მაზლიშვილის და დანარჩენის ბიძაშვილის ტრაგიკულად გარდაცვლილის მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის ჯარის კაცის

გიორგი (ჟორა) ანთიმოზის ძის მაღრაძის

სულის მოსახსენებლად. ქ ყვირილაში წმ. ნინოს ეკლესიაზე წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 12 მიცვალებულის საფლავზე. 1368

შაბათს, ოქტომბრის 19 ს დილის ათ საათზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

ნიკოლოზ (კოლია) ყიფიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გულდათუთქული და მწუხარებით აღვსილი დედა ელისაბედ ყიფიანისა, ძმები: ალექსანდრე, იოსებ, ვასო და ვლადიმერ ყიფიანები და სოფიო ჩიქოვანისა, დისწულები: ნინო და ელენე ციციშვილები, რძლები: ელენე და ალექსანდრა შვილებითურთ. 5061

მე-2-რე საარტილერიო ბრიგადის კომანდირი და ოფიცრები მწუხარებით აცხადებენ, რომ ქ გორში უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ამხანაგი პოდპოლკოვნიკი

ვლადიმერ ვაჩნაძე.

მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ დღეს, ოქტომბრის 18-ს დილის 10 საათზე სამხედრო საკრებულოდან, ხოლო დაკრძალვა მოხდება ვერაზე ივანე „ბოგოსლოვის“ ეკლესიის ეზოში. 2063

1918—19 წლის საოპერო სეზონი

სახელმწიფო თეატრი

დირექცია ნ. ლ. ლევიცკის

პარასკევს, ოქტომბრის 18-ს, **„ბორის გოდუნოვი“** ოპერა 3 მოქმ. მ. მუსსორსკისა

მომქმედნი პირნი: სპიტკო, იანსა, მოროზოვისა, ვიშემირსკისა, ოვსიანიკოვისა, ბერეზინი, ორდა, მოლჩანოვი, ზუბარევი, ინაევი, საბინინი, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი.

დირიჟორი **სამოსუდი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 20-ს დილით „ფაუსტი“, საღამოთი „რიგოლეტტო“. 1311



ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 18-ს გაიმართება

რადიონ ყუბანელის

უკანასკნელი გასტროლები. მონაწილეობენ აგრეთვე „სამი ეშმაკი“, ზინკოვსკები და მთელი დასი.

ანონსი: „მოლის ცნობილი ფლერენსი“.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2062

ქართული სატექნიკო საზოგადოების საბჭო აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ოქტომბრის 18-ს საღ. 7 ს. ფრეილინის ქ. № 11 დანიშნულია გაგრძელება წლიური საზოგადო კრებისა. 1. მოხსენებანი სექციების თავმჯდომარეებისა და 2. არჩევნები საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრებისა. 2058

სამხედრო ექიმთა ყრილობა დანიშნულია ამა ოქტომბრის თვრამეტში ადგილი და საათი გამოცხადებული იქნება მეორე დივიზიის შტაბში, დივიზიის ექიმის კანცელარიაში (სამხედრო ქუჩაზე, სადაც ყრილობის მონაწილეებს შეუძლიანთ მიიღონ ყოველივე ცნობა ბინის და სხვა საკითხების შესახებ. ყრილობისთვის შემუშავებულია შემდეგი წეს-რიგი 1. სამხედრო საექიმო-სასანიტარო და სამოქალაქო საექიმო-სასანიტარო საქმეებს ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება საქართველოს რესპუბლიკაში; 2. ჩვენი რესპუბლიკის ჯარის სასანიტარო და საექიმო მდგომარეობის მოწესრიგება და გაუმჯობესობა; 3. სამხედრო სასანიტარო მმართველობას მკვიდრ ნიადაგზე დაყენება და ამ მმართველობაში საქმიანობის და სისტემის შეტანა: ა) სამხედრო ექიმთა პირადი შემადგენლობა და ექიმთა სამართლიანი განაწილება, ბ) სამხედრო ექიმთა საბჭოს დაარსება სანიტარულ მართველობასთან, რომელიც სასანიტარო უფროსთან ერთად გაუძღვება მთელ სამხედრო საექიმო-სასანიტარო საქმეს რესპუბლიკაში, გ) სასანიტარო-საექიმო ქონებათა გამორკვევა, მოგროვება და საწყობების მოწყობა, მათი გამოწერის და ანგარიშის წეს-რიგის შეცვლა, ე) ფერშლები, მათი მომზადება და განაწილება; 4. ჯარის ნაწილებში სამკურნალოების და ქსენონების მოწყობა, სამხედრო ჰოსპიტლების მოწყობა და მათი დამოკიდებულება ჯარის ნაწილებთან; 5. ტფილისის ჰოსპიტალთან სამხედრო ექიმთათვის გასამეორებელი კურსების მოწყობა სხვა და სხვა საექიმო მეცნიერების დარგებში; 6. ექიმთა პერიოდიული კრებები; 7. საექიმო პერიოდიული გამოცემები. 1365

ქართული კლუბი

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, 1918 წ. ოქტომბრის 18-ს

გაიმართება ფრიად საინტერესო პროგრამით

კონცერტი

გერმანულ მე-7 დე ბატალიონის ორკესტრისა

დასაწყისი 8 ნახ. საათზე. 1263

სარეკლამო ბიურო „რიაშ“-ს კანტორაში

გაიხსნა

სკოლა ბიურო **ქართულ** ფრანგულ და რუსულ მანქანებზე

სწავლის ფასი ქართულ მანქანაზე 85 მან. რუსულ 50 მან. ფრანგულ 80 მ. კურსი.

იქვე მიიღება გადასაბეჭდი საქმის ქაღალდები.

მისამართი: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 სახელმწიფო ბანკის პირდაპირ. 1346

ქუთაისში

სასწრაფოდ იბეჭდება. ✦ ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო

„მნათობი“

ანბანს შემდეგ პირველი წიგნი სკოლებში სახმარებელი, შედგენილი იოს. ოცხელის, სამ. ყიფიანისა და დომ. ოყრეშიძის მიერ.

ფასი 4 მანეთი.

მისამართი: კ. ოცხელის წიგნის მაღაზია. 1363

განცხადება

ტფილისის საოსტატო ინსტიტუტში და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება ოქტომბრის 15-ს (ქართულ ენაზე).

ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება:

1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართ. ენა და ლიტერ., საქართვ. ისტ.)
2. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა.

ცნობად: 1. ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლიან ყველას, ვისაც ერთ ერთი სავაჟო ან საქალებო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია.

2. ინსტიტუტის პირველ კურსზე **ოცი სტიპენდიანტის ადგილია** თავისუფალი.

3. თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდიმთავრის ქუჩა № 91 (ველიკოკნიაჟ. 91). 1352

ტფილისი, ოქტომბრის 18.

სომხების გადაწყვეტილების გამო

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ოსმალეთმა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები დასცალა. მალე გამოჩნდა ბეცი პოლიტიკა ოსმალეთის იმპერიალისტებისა, რომელსაც თავის დროზე აღვნიშნავდით. იმ დროს, როდესაც პალესტინის ფრონტზე ძლიერი მტერი — ინგლისი კარს მოსდგომოდა — ოსმალეთი კავკასიისაკენ იყურებოდა და მადა-გახსნილი მოეშურებოდა ჩვენი ქვეყნისაკენ. ჩვენ მის წინაალმდეგ არავითარი აგრესიული სურვილები არა გვქონია, მაგრამ საქართველოს მთლიანობას რომ წაეპოტინა და საუკეთესო მისი ნაწილები ჩამოგვაცალა — იძულებული ვიყავით იარაღით ხელში შევბრძოლებოდით. ჩვენ ვერ შევსძელით სუსტი ძალებით თავდაცვა და ოსმალეთმა რამდენადმე აისრულა თავისი წადილი. მაგრამ საქართველო ვერასოდეს შეურიგდებოდა ბათომის, ახალციხის და ახალქალაქის დაკარგვას და რასაკვირველია, ძმური და მეგობრული განწყობილება ყოფილიყო ჩვენსა და ოსმალეთს შორის. ეხლა გაჭირვება დაადგა, პალესტინაში ოსმალეთს თითქმის ორი არმია გაუნადგურეს და იძულებულია ჯარი გაიყვანოს არა მარტო ახალციხის და ახალქალაქის მაზრიდან, არამედ მთლად კავკასიიდან.

მაგრამ დღეს ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს. ამ დღეებში გაზეთებში იყო ცნობა: სომხის ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ის ლტოლვილები, რომელნიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გაბნეულნი არიან, დაასახლონ ახალ-ქალაქის და ახალციხის მაზრებით. უკვე დაწყებულა საამისო პროპაგანდაც. საქართველოსათვის მიწის სივიწროვე წყეული საკითხია, ამას თავი რომ გავანებოთ, ჩვენი განაპირა ადგილები დასახლებულია თითქმის სულ უცხო ელემენტებით. თუ რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ზემოხსენებულ ორ მაზრას საქართველოს სახელმწიფოსთვის, ეს სადაო არაა. ჩვენ შეგვეძლო იგი დაგვეთმო მაშინ, როცა ყველა ეროვნული ერთეულები შედიოდნენ ჩვენის გეგმით მთლიან რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში. ეხლა ჩვენ შევქმენით დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელსაც ამისთანავე მეზობლები ჰყავს ირგვლივ. მაშასადამე ჩვენი მიზანია სწორედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შევხედოთ საქმეს და დავიცვათ ეკონომიური, პოლიტიკური და გეოგრაფიული მთლიანობა რესპუბლიკისა.

სომხის ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილება საკვირველია. საკვირველია მით უმეტეს, რომ ეს ხალხი სწორედ გუშინ გვარწმუნებდნენ: ლტოლვილები არ დარჩებიან საქართველოში, ისინი უეჭველად წავლენ, რაც შეგვეძლო — ჩვენ არ დაგვიშურებია და თვითონ გაჭირვებულებმა შევივრდომეთ თითქმის ნახევარი მილიონი ლტოლვილი. თუ როგორი განწყობილება დაჰბადა ამან მადლობის მაგივრად სომხებში, ყველამ იცის. ეს გარემოება მათ რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაციის მასალად გამოიყენეს. მაშინ, როდესაც თვით სომხის რესპუბლიკა ცალიერია და საუკეთესო ძალები სხვაგან განფანტულან — საქართველოში დასახლება ახლად მოსულებისა — დანაშაულობაა თვით სომხის ერის წინაშე. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ ლტოლვილებზე, რომელნიც ამ მაზრებიდან გამოქცეულან. მაგრამ სხვა ადგილებიდან მოსულ ლტოლვილების დასახლება ჩვენს ტერიტორიაზე ყოვლად შეუძლებელია, ისე, რომ არ დაირღვეს ჩვენს შორის კეთილმეზობლური განწყობილება. ამას უნდა ჩაუკვირდნენ სომხის პოლიტიკური ხელმძღვანელნი. ჩვენ არ შეგვიძლია პასკევიჩის დროის ამბები გავიმეოროთ და ხელოვნურად ავაჭრელოთ ჩვენი ქვეყანა. ეს უნდა ესმოდეთ სომხებს და სცდილობდნენ საქმის ისე გადაწყვეტას, როგორც ამას მოითხოვს თვით მათი პოლიტიკური ინტერესი. თორემ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით დავადასტუროთ, რომ სომხებს საქართველოში რაღაც პოლიტიკური მიზანი დაუსახავთ. ამას კი ვერასოდეს შეურიგდება ვერც ჩვენი დემოკრატია, ვერც ჩვენი რესპუბლიკა. ჩვენი მთავრობის მოვალეობაა ამ წერილში აღძრულ საკითხს ეხლავე, ვიდრე გვიან არაა, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

საქართველოს პარლამენტი

ჩვენს ერთ ერთ წერილში ამას წინად აღვნიშნეთ ის უდიდესი მნიშვნელობა, სახელმწიფოს რომ აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის. დღეს, ამ საერთო აშლის დროს — საჭიროა ისეთი მექანიზმი, რომელიც გარკვეულ გზას მისცემს ჩვენი ქვეყნის განვითარებას. ბოლოს და ბოლოს ეს აღელვებული ზღვის ზვირთები, რომელმაც ბევრ სიკეთესთან ერთად თავს მოირთვა ჩვენი ცხოვრების მრავალი სიმყრალე და გახრწნილება — ხომ უნდა დაწყნარდეს. უეჭველია, ცხოვრება ნელნელა ჩადგება ნორმალურ კალაპოტში და მრავალი უმსგავსოება, ეხლა რომ სულს გვიხუთავს, მოისპობა.

ვის და რას შეუძლიან ეს პროცესი დააჩქაროს?

დიდი მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოს აშენება რომ უდვიათ თავს. ამ საერთო გახრწნილების ჟამს, რომელიც ჩვენ გარდამავალად მივიჩნიეთ — პოლიტიკური პარტიები ღა დარჩა, სადაც ერთნაირი დისციპლინა და პასუხისმგებლობა არსებობს. თუმცა საერთო სენმა მათაც გაჰკრა თავისი ბასრი ბრჭყალები, პარტიებშიაც იჩინეს თავი იმ ელემენტებმა, რომელნიც ფეხის ხმის აყოლით იყვნენ ამა თუ იმ პარტიაში მოკალათებულნი („მარტის სოციალისტები“), მაგრამ საერთოდ აქ იყო და არის ერთნაირი დისციპლინა და ზნეობრივი პასუხისმგებლობა, და დღეს ყველა პარტიის უდიდესი მოვალეობაა გასწმინდონ თავიანთი წრეები შემთხვევით ელემენტებისაგან, აღადგინონ ძველებური სიწმინდე. პარტიის კაცობა ოდესღაც სასახელო და ვალდებულების მაჩვენებელი იყო, ეხლა ასეთი მდგომარეობა აღარაა და „პარტიის კაცები“ ხშირად თვით არიან ხელის შემწყობნი სხვა და სხვ ბოროტ მოქმედებათა. არც ერთმა პარტიამ არ უნდა იკისროს ამისთანა ხალხის ხელის დაფარება, გამოსარჩლება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მისი პარტიისაა, ამას გვიკარნახებს ჩვენი ქვეყნის სიყვარული და მისი ინტერესების სწორი გაგება.

სამწუხაროდ, ჩვენში ძლიერ ხშირია მაგალითები, როდესაც პარტიის კაცის ინტერესებს ეწირება საერთო საქმე. არის შემთხვევები, როდესაც რომელისამე პარტიის წევრი რაიმე ბოროტმოქმედებას ჩაიდენს და მას სახელმწიფო სამართალში კი არ აძლევენ, არამედ პარტიიდან რიცხავენ და ამით კმაყოფილდებიან. ასე მოხდა, მაგალითად, გორის მაზრაში, სადაც ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი კომისარი ფულის გაფლანგვისათვის პარტიიდან გამორიცხეს და ეს იკმარეს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც პარტიული ორგანიზაციები არიან ნამდვილად ბატონპატრონნი რომელისამე კუთხისა და სახელმწიფო თანამდებობის ამსრულებელი პასუხისმგებელია არა სახელმწიფოს, არამედ თავის პარტიის წინაშე. ეს ყოვლად აუტანელი და დასაგმობი მოვლე-

ნაა. პარტიები უნდა ეხმარებოდნენ სახელმწიფოს, მაგრამ შეუძლებელია მათ ადმინისტრაციის და სახელმწიფოს ფუნქციები მიითვისონ. ჩვენ კი ამას წინად წავიკითხეთ „ერთობაში" ამბავი: ამა და ამ მაზრის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის მოთხოვნილებით დაინიშნა რევიზიაო, შესაძლებელია აქ კომიტეტმა მართლაც კეთილი საქმე გააკეთა, მაგრამ ასეთი რამ მაინც ცუდი პრეცენდენტია. სახელმწიფო უნდა ჭეშმარიტად ხელმწიფებდეს და მის საქმეებში გარეშე ძალები ასეთს გავლენას არ უნდა ახდენდნენ.

მაგრამ არის ერთი დაწესებულება. რომლის პირდაპირ დანიშნულებას სწორედ ზემოხსენებული ფუნქციები შეადგენს და იგი კი ამას ნაკლებად სარგებლობს. ესაა საქართველოს პარლამენტი. თავის თავად, იურიდიულად საქართველოს პარლამენტი უნდი იყოს ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი. ყველა უნდა გრძნობდეს, რომ ესაა უმაღლესი კანტროლი საქართველოში მომქმედ ყოველგვარ ძალებისა მაგრამ მის არსებობას საქართველო, მისი ხალხი ძალიან ნაკლებად გრძნობს, ჩვენ სრულიად არ გვინდა დავამციროთ ის დიდი შრომა, ჩვენმა პარლამენტმა რომ გასწია საქართველოს შენებისათვის. შეიძლება ითქვას, მან მოკლე ხანში გააკეთა იმდენი, რამდენსაც სხვაგან წლობით აკეთებენ. მაგრამ ფართო მასსა მის შემოქმედებას ნაკლებად იცნობს და მისი ავტორიტეტიც ნაკლებად სჩანს

ხალხს დღეს მეტად ცუდი წარმოდგენა აქვს ჩვენს მთავრობაზე. ყოველგვარი ცოდვა თითქმის მას მიეწერება აქ ერთნაირი ლოღიკური შეცდომაცაა. მას შემდეგ და მის დროს მოხდა, მაშასადამე ყველაფერი მთავრობის ბრალიაო. მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას: ჩვენში ბევრად უფრო მეტად სჩანს ხალხში მთავრობა, ვიდრე პარლამენტი. თითქმის არავის აქვს იმისი შეგნება, რომ მთავრობა მორჩილია პარლამენტისა, მის წინაშე პასუხს აგებს, წინად დეპუტატის სახელი ხალხს ბევრ რასმე ეუბნებოდა. რომელსამე პროვინციაში სათათბიროს წევრის წასვლა, მთელი ისტორია და დღესასწაული იყო ხალხისათვის. იგი გრძნობდა, რომ ჰყავს ვიღაცა მოსარჩლე და ტრიბუნი, რომელსაც შეუძლიან ხმა ამოიღოს იქ, სადაც გაუგონებენ და საქმის გაკეთებასაც შესძლებსო დღეს საქართველოში ასეთი არაფერია. პარლამენტი თითქოს რომის იმპერატორების დროის სენატს მოგვაგონებს, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა და ასრულებდა იმპერატორების ბრძანებებს. მსგავსება აქ, რასაკვირველია, მხოლოდ გარეგანია. მაგრამ სწორედ ეს გარეგანი მსგავსებაც სავალალოა და ჩვენმა პარლამენტმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს ხალხთან, ფართო მასასთან დასაახლოვებლად და თავის ავტორიტეტის გასამტკიცებლად. მთელი შეგნებული საქართველო უნდა შეკრბეს მის გარშემო და ყველა სხვა ორგანიზაციამ მორჩილად ქედი უნდა მოიხაროს მის წინაშე ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი და პარლამენტარიზმის იდეა. არც ერთი სხვა პარალელური ორგანიზაცია, მთელი ძალა-უფლება საქართველოს პარლამენტს! აი, სადღეისო ლოზუნგი.

ფართო პროპაგანდა, პროვინციების ჩამოვლა, ადგილობრივ საჭირ-ბოროტო საკითხების გამორკვევა, აი, რა უნდა იკისრონ დეპუტატებმა. ქართველი ხალხი უნდა გრძნობდეს, რომ ყოველგვარ ძალადობისა, უსამართლობისა და უწესრიგობისაგან დამცველი ორგანო ჰყავს, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რათა ხალხს დაუახლოვოთ პარლამენტი. უმაღლესად განვავითაროთ და განვამტკიცოთ იგი, რათა მისმა ავტორიტეტმა შეასრულოს ბოლოს და ბოლოს ჩვენი არეულ დარეული ცხოვრება სწორ და მშვიდ კალაპოტში ჩააყენოს. ვიმეორებთ, ეს მორიგი, სადღეისო საკითხია და ამისათვის ფიქრი ჰმართებს ყოველ ერთგულს მოქალაქეს და საქართველოს რესპუბლიკის ჭეშმარიტ გულშემატკივარს.

ქ. რაჭველიშვილი.

მთავრობაში

ოქტომბრის 15-ს მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის თხოვნის თანახმად სახელმწიფო ბანკების და ტფილისისა და სოხუმის შემნახველ კასების მოსამსახურეებს 200 მან. მიემატებათ.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა: გაეხსნას ხსენებულ მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან სამი ათას ცხრაას სამოცდა ხუთი მან. 77 კაპ. (3965 მან. 77 კაპ.) კრედიტი სახაზინო პალატების სადგურების ქირის მომატებისთვის.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქნა კანონპროექტი და მოხსენება სპირტის გამოხდაზე და აქციზზე მოწონებულ იქნეს და გადაეცეს საქართველოს პარლამენტს.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქნა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 43,700 მან. კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან საგეოლოგიო ექსპედიციის საგნებში გასაგზავნად.

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით დაადგინეს მოესპოს ასსიგნოვკებისა და ჩეკების გადახდა ყოფილ კავკასიის ფრონტის მოიჯარადრეთ და ფულის მაგიერ მიეცეთ მათ საკრედიტო მოწმობანი.

განათლების მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქნა გაეხსნას განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან ათას ხუთასი მან. კრედიტი ავანსის სახით პედაგოგიურ მუზეუმის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

განათლების მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა გაეხსნას განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 100 მან. კრედიტი ყოფილ ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის საქმის მმართველის თარგამაძის ცოლ-შვილის დასაკმაყოფილებლად.

განათლების მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქნა გაეხსნას მას საბებიო ინსტიტუტის გაეროვნების გამო გაწეული ხარჯების დასაფარავად 4,350 მან კრედიტი.

სახელმწიფო კანტროლიორის მოხსენებით გზათა მინისტრს და ევალა შტატები შეამციროს და ამის შესახებ წერილობითი მოხსენება წარმოადგინოს.

გზათა მინისტრის მოხსენება ტყიბულის მუშების დაკმაყოფილების შესახებ დადგენილია: მიენდოს ფინანსთა მინისტრს შეძლებისამებრ დააკმაყოფილოს საჩქაროდ ხსენებული მუშები.

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით ქუთაისის საგუბერნიო, საქალაქო და სამაზრო სასურსათო კომიტეტის რევიზიის საჭიროებაზე დადგენილ იქნა: ხსენებულ კომიტეტის რევიზია მიღებულ იქნეს და მისი წევრების არჩევა მთავრობის თავმჯდომარეს მიენდოს.

ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა: მიღებულ იქმნას ფოთში მოტანილ 16 მილიონ ფუთ შავი-ქვის დამატებითი ტარიფი ფუთზე 38,5 კაპ.

საქართველოს პარლამენტი

ოქტომბრის 15-ის სხდომა

ალ. წერეთელი (ს. ფ.) ერთის შეხედვით ეს კანონ-პროექტი, რომლითაც უმაღლეს სასწავლებლისათვის 50 ათას მანეთსა თხოულობენ, არამც თუ მისაღებია, არამედ მისასალმებელიც. მაგრამ საქმე არსებითად ასე არ არის. დღეს განათლების სამინისტროს საშუალება არა აქვს, სახალხო მასწავლებელთ ჯამაგირი თავის დროზე მისცეს, გააფართოვოს სახალხო განათლება და გაამრავლოს რიცხვი დაწყებითი სასწავლებლებისა. და ამ დროს 50 ათასი მანეთის მიცემა ისეთ დაწესებულებისათვის, რომელსაც ჩვენთან საერთო არა აქვს-რა, არ ემორჩილება ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს კულტურასთან კავშირი არა აქვს, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ჩვენს სახალხო სამინისტროს საზრუნავი აქვს სხვათა შორის ისეთი დაწესებულებანი, როგორც მაგალითად: მუზეუმი, ფიზიკური ობსერვატორია, ბოტანიკური ბალი და სხვა და ამისათვის მას თანხა არა ჰყოფნის. და არამც თუ კავკასიის უნივერსიტეტს დაეხმაროს, არამედ ჩვენს უნივერსიტეტს, რომელსაც დახმარება ძლიერ ესაჭიროება. ერთის სიტყვით, ჩვენ ხარჯს ვერ გავიღებთ კავკასიის სასწავლებლებისათვის მაშინ, როდესაც ჩვენი განათლებისათვის არა გვყოფნის საკუთარი ფინანსიური საშუალებანი. მერწმუნეთ, ჩვენში არის ისეთი მაზრები—როგორც მაგალითად დუშეთისა და თიანეთისა, სადაც პირველ დაწყებითი სასწავლებლები წარმოუდგენლად მცირეა და დამეთანხმებით, რომ ხალხის გაუნათლებლობა არის პოხიერი ნიადაგი, სადაც ძლიერ ადვილად პოულობს ადგილს ყოველგვარი პროვოკაცია და ველურობა. ყველა ამ მოსაზრებათა გამო სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია უარჰყოფს ამ კანონს და წინაალმდეგია 50 ათასი მანეთი მიეცეს კავკასიის უნივერსიტეტს. (ტაში).

რ. გაბაშვილი. როდესაც ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ლატარიის საშუალებით მანეთობითა გროვდება ფული, როცა სახალხო სკოლის მასწავლებლებს ჯამაგირებს მხოლოდ 400 მანეთამდე უმატებთ და დასძენთ ეს საკმაო არ არის, მაგრამ სხვა საშუალება არა გვაქვსო. მაშინ შეუწყნარებელია 50,000 მანეთის გაღება იმ სასწავლებლისათვის, რომელიც ჩვენთვის სახეირო პოლიტიკას არ აწარმოებს.

კ. ნინიძე. (ს.-დ.) სოც.-დემოკრატების ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ იგი საწინააღმდეგოს არაფერსა ჰხედავს ამ კანონში და მხარს უჭერს, ვინაიდან ამ სასწავლებელს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და თუ ასეთ სასწავლებლებს ხელს არ შეუწყობთ და გაუქმდება ჩვენი სახელმწიფო დაზარალდება მეცნიერების მხრივ, რადგან ჩვენს უნივერსიტეტში კიდევ გავამრავლებთ უნიჭო პროფესორებს და განათლებას უკან დავწევთ. ორატორი რამოდენიმეჯერ ცუდად იხსენიებს ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტს და ჩვენს პროფესორებს.

არ. ჯაჯანაშვილი (ადგილიდან:) ეგ მართალი არ არის, არ ვარგა ასე თავის დამცირება.

გრ. ვეშაპელი. ილაშქრებს ამ კანონის წინააღმდეგ და ანვითარებს იმ აზრს; რომ, რუსთა ეროვნულმა საბჭომ ამ უნივერსიტეტის გარდა მოჰფინა ტფილისი რუსული პროგიმნაზიებით და საფუძველს უყრიან ისეთ სასწავლებლებს, რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებენ პოლიტიკურ მოღვაწეობასაო. ორატორი პრინციპიალურადაც წინააღმდეგია, რომ ჩვენი ხაზინა დაეხმაროს ამ სასწავლებელს.

გრ. რცხილაძე (ს. ფ.) საქართველოს მთავრობას ორი დიდი დაწესებულება აქვს: უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი ორივე დაწესებულება იგი თავის ხარჯით ინახავს. მიუხედავად ამისა, ორივ დიდ გაჭირვებას განიცდის მატერიალურად. და ამის შემდეგ, ვინც კიდევ სხვა სასწავლებლისათვის ჰქმნის კანცნებს და სუბსიდიას მოითხოვს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ის ორი დიდი სასწავლებელი, რომელთაც თავის ხარჯით ინახავს, არ კმარა და სათანადოდ ვერ აკმაყოფილებს ამ ნიადაგზე სახელმწიფოს მოთხოვნილებას. მანამდე კი სანამ ეს საბუთი არ არის, ასეთი პროექტებიც ქვიშაზეა აშენებული. აქ კავკასიის უნივერსიტეტისათვის დახმარების მიცემა სხვათა შორის ერთგვარ კონკურენციის პრინციპით გაამართლეს. მე გამიგონია სავაჭრო-საკომერციო კონკურენცია, მაგრამ სამეცნიერო კონკურენცია კი თითქო შესაძლებელი იყოს და ნაყოფის მომტანი, ეს კი ახალი გაგონებაა ჩემთვის. საქართველოს უნივერსიტეტი თავის გარშემო იკრებს იმ სამეცნიერო ძალებს, რომელნიც შეიქმნენ ორმოცდაათი წლის განმავლობაში და მათი ისე დახასიათება, ნინიძემ რომ მოისურვა, შეუწყნარებელია. ხოლო რაც შეეხება საკონკურენციო მოსაზრებებს, საზოგადოების ის წრე, რომელიც არა კმაყოფილდება არსებულ სამეცნიერო სასწავლებლით, სხვაგანაც გაჰგზავნის სასწავლებლად თავის შვილებს. დახმარების და საგანათლებო სუბსიდიის პრინციპი ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენს სახელმწიფო ხაზინასაც შეჰხედეთ. თქვენ ამბობთ 50,000 მანეთი დახმარება მივცეთო—რომ თვალი გადაავლოთ იმათ შეძლებას, ვისთვისაც უმთავრესად ეს უნივერსიტეტი არსებობს, მათ უფრო მეტი ქონებრივი შეძლება აქვთ, ვიდრე ჩვენს სახელმწიფოს. მე მაქვს ცნობები, რომ ამ სასწავლებელს ბაქოელმა კაპიტალისტებმა სთხოვეს ბაქოში გადასვლა და დიდ დახმარებას აღუთქვამდნენ, მაგრამ ამ უნივერსიტეტის მესვეურებმა არ მოისურვეს აქედან წასვლა—რატომ? მე არავის სულში ხელის ფათური არ მინდა, მაგრამ თუ მათ მხოლოდ განათლების პრინციპი ამოქმედებდათ, უნდა გადასულიყვნენ. არის სხვა მოსაზრებაც: ვინც სახელმწიფოს ხარჯით უმაღლეს სწავლას იღებს, იგი სახელმწიფოს უნდა გამოადგეს. ეგ უნივერსიტეტი არ ემჯობინება რუსეთის უნივერსიტეტებს მოგეხსენებათ, თუ რა სარგებლობა მოუტანეს ჩვენს ქვეყანას რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილებმა: როდესაც ჩვენში ადგილობრივი ენის საკითხი დაისვა მათის მეოხებით დიდი დაბრკოლება შეხვდა მის ჯეროვანად გადაჭრას და განხორციელებას. და დღესაც ქართული ენის საკითხი ვერ არის მოგვარებული ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებაში. მაშასადამე ჩვენ მისთვის კი არ უნდა ვხარჯავდეთ ფულებს, რომ ესა თუ ის მოწაფე კარგად მოვაწყოთ ამა თუ იმ სამეცნიერო სასწავლებელში, არამედ ამ საკითხს სახელმწიფოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისიც უნდა დაუკავშიროთ. თქვენ მოითხოვთ, რომ კავკასიის უნივერსიტეტს 50,000 მანეთი დახმარება მიეცეს. მე მინდა ჩემი სიტყვა ასეთის თხოვნით დავაბოლოო: ასეთ საკითხებს გადასაჭრელად მიეცით ხმა იმის მიხედვით, თუ როგორ საშუალებას გაძლევთ თქვენი ხაზინის მდგომარეობა, გამოიჩინეთ ქველმოქმედება იმდენად, რამდენადაც თქვენი სახელმწიფოს ფინანსიური ყოფა მოგცემთ ამის უფლებას. (ტაში).

ი. მაჭავარიანი. ეწინააღმდეგება კანონს და ამბობს, რომ თუ მაინცა და მაინც მეცნიერების პრინციპი გამოქმედებთ, ჩამორჩენილ რუსეთისაკენ კი ნუ იყურებით, მიჰბაძეთ ევროპას. ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერნი ჩაწიხლეს აქ, თუ ჩვენი მეცნიერების გამრავლება გინდათ, ის 50,000 მან. მოახმარეთ ისეთ ქართველებს, ვინც ევროპაში მეცნიერებით აღიჭურვებიან და საქართველოს გამოადგებიან.

ალ. წერეთელი. (ს. ფ.) ამ მაღალ ტრიბუნას ზოგიერთნი ისე უდიერად ხმარობენ, რომ გასაკვირველი არ იქნება თუ ხალხს მისი პატივისცემა დაეკარგება (საერთო ტაში). ეს სხვათა შორის. მე მაინტერესებს საქმე. აქ მითხრეს, რომ შენ რუსული კულტურის წინააღმდეგ ილაშქრებო. ეს სრულიად მართალი არ არის. პირიქით, მე შემიძლიან ვსთქვა, რომ რუსული კულტურის ზედგავლენით გავიზარდე და ხშირად მწყურიან ხოლმე იდუმალ ვილოცო რუსეთის ზოგიერთ დიდებულ და წამებულ მიცვალებულ ინტელიგენტთა მოგონების წინაშე. მე ვამბობდი მხოლოდ იმას, რომ ამიერკავკასიის უნივერსიტეტი არ შეეფერება დანიშნულებას, როგორც მეცნიერების ტაძარი. ბ. ნინიძემ კი სთქვა: ჩვენი უნივერსიტეტი მეცნიერების მხრივ ძლიერ სუსტია და ამიერკავკასიისა კი მდიდარია და მაღლა მდგომიო. ეს ზერელე მსჯელობაა. ჩვენს უნივერსიტეტში ყველა პროფესორს აქვს სათანადო სამეცნიერო ხარისხი. ამიერკავკასიისაში კი ოთხიოდე მეცნიერის გამოკლებით, უმრავლესობა საშუალო სკოლების მასწავლებლებისაგან შესდგება. თვით ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გამგეობას არა ერთხელ მიუმართავს ჩვენი პროფესორებისათვის თხოვნით, რომ მათ კურსებზე ლექციის წაკითხვა ეკისრათ. და თუ ჩვენები სუსტები იყვნენ, როგორ მოხდა, რომ იგინი მეცნიერებით სავსე უნივერსიტეტმა მიიწვია? რათა გვჭირს ასეთი სენი: ჩვენსას ვამცირებთ მუდამ და სხვისას კი ვამაღლებთ! (ტაში.) ჩემის რწმენით ამიერკავკასიის უნივერსიტეტი ვერც მეცნიერულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ეგეც არ იყოს, ჩვენ ფინანსების მხრივ ძლიერ სუსტნი ვართ, ამიტომ მისაღები უნდა იყოს ჩვენი ფრაქციის წინადადება, რომ წარმოდგენილი კანონი 50000 მანეთის დახმარების შესახებ, უარყოფილ იქმნას (ტაში).

ფარნიევი (ს.-დ.) ემხრობა კანონს მკვახედ ეკამათება ნ.-ც. დემოკრატებს. ორატორი სხვათა შორის ამბობს: გაბაშვილი და ვეშაპელი წარსულ კრებებზე მოითხოვდნენ, ჩვენი ჯარის შექმნისათვის სახელმწიფო ფინანსების ნახევარიც კი უნდა დაიხარჯოსო. თუ კი **უხეშ ძალის შექმნისათვის** გემეტებათ ფული (არ. ჯაჯანაშვილი ადგილიდან: განა ჩვენი ჯარი უხეში ძალაა?—ეგ შეურაცხყოფაა მისი.) რატომ არ უნდა გაიმეტოთ იგი მეცნიერებისათვის, რომელსაც სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თავმჯდომარე აქ ერთმა ორატორმა ჯარის შესახებ შეუფერებელი სიტყვა: „უხეში ძალა" იხმარა. თუ იგი ჩვენს ჯარს შეეხებოდა, ფრიად სამწუხაროა და მოლაპარაკეს მეტი პატივისცემა უნდა ჰქონდეს საქართველოს ჯარისა.

ნ. ელიავა. იცავს კანონს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საჭიროა ასეთი უნივერსიტეტი არსებობდეს ჩვენში, ვინაიდან იქ ჩვენი ხელმოკლე კლასებიც სწავლობენო. ქალაქის გამგეობამ ამ უნივერსიტეტისათვის 10,000 მან. გაიღო და მთელ სახელმწიფოს არ უნდა დაეზაროს 50,000 მანეთის გაღებაო.

სოც.-ფედერალისტთა ფრაქციას წინადადება შეაქვს კამათი შესწყდეს.

გ. ვეშაპელი. მოითხოვს კამათის გაგრძელებას.

არ. არსენიძე. საკითხს სავსებით გამორკვეულად სთვლის და მომხრეა კამათი შესწყდეს. კენჭის ყრით კამათი სწყდება.

მომხსენებელი უპასუხებს ორატორებს და გადადის კანონის მუხლობრივ განხილვაზე.

გრ. ვეშაპელს წინადადება შეაქვს: რახან სოციალ-დემოკრატებს პრინციპისა და ზნეობის დეკორაციისათვის საჭიროდ მიაჩნიათ უსათუოდ დახმარება. ამ კანონში აღნიშნული თანხა შემცირებულ იქმნეს **ხუთი ათას მანეთამდე.** ვეშაპელის წინადადება უარყოფილია.

საერთოდ კანონი კენჭის ყრით რამოდენიმე ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა.

კრება დღის 4 საათზე დასრულდა.

ზავის გარშემო

(ტრანს-ოკეანეს პრეს-ბიუროს ცნობა)

„სვენსკა დაგებლატი" სწერს, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა პრესა შურისძიების გრძნობით არის აღსავსე. ვილსონს, რაც უნდა ძლიერი იყვეს იგი, მაინც დიდი ბრძოლა მოუხდება უსაზღვრო იმპერიალიზმის გამოხატულებასთანო.

ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი, როგორც სჩანს, არ უჭერენ მხარს ვილსონის მიზნებს. არც ბალფურს, არც კლემანსოს არ გამოუთქვამთ ჯერ თავისი აზრი. გრეი ამაში დიდს საშიშროებას ჰხედავს ინგლისისათვის. მისი აზრით მოკავშირენი სულ სხვა თვალსაზრისს ადგანან თავის გადაწყვეტილებაში, ვიდრე ამერიკა. ოკეანეს აქეთა მხრის და იქითა მხრის პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ერთგვარი ოპოზიცია არსებობს, რომელიც, ჰსურთ, სიტყვების თარეშით დამალონ. გრეი სურვილს გამოსთქვამს, რომ მოკავშირეთა შორის ერთსულოვნობა არსებობს: ეს კი, მისი აზრით, ვილსონის პროგრამის მიღებით შეიძლება. ყველაზე საგულისხმო გრეის სიტყვაში ის არის, რომ ის აუცილებლად სთვლის ინგლისისათვის ძველი მეთოდების უკუგდებას და ვილსონის ძირითად პრინციპების მიღებას. ამ ჟამს დიადი გარდაწყვეტილებათა უღრესი მნიშვნელობა აქვს ისეთი სიტყვების მოსმენას ამ ადამიანისაგან, რადგან, თუ ლლოიდ-ჯორჯის მთავრობა არ გადაუხვევს იმ გზას, რომელთაც ვილსონის მუდამ მიდიოდი, ამ შემთხვევაში ზავის იმედები უნაყოფოდ არ ჩაივლის ინგლისის მთავრობა მთელი მსოფლიოს მადლობას დაიმსახურეს, თუ ის თავის შერიგებით, შეგვაძლებინებს ახალი წესები დავამყაროთ. გერმანიის მთავრობამ თავისი მხრით უნდა განახორციელოს შინაური რეფორმები, რათა არ გამართლდეს მისადმი მიმართული უნდობლობა. პრინცი მაქსი და მისი მთავრობა ამ მხრივ სავსებით აკმაყოფილებენ მომენტის მოთხოვნას.

გერმანიის საპასუხო ნოტა ვილსონის წერილზე პრესას საკმაო ნათლად მიაჩნია და მისი აზრით წინასწარი ზავის შეკვრა და საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ დროის საკითხია. „ფორვერტსი" სწერს, გერმანიის მეორე ნაბიჯი აუცილებელი იყო პირველის შემდეგო. მომავალში მოსალოდნელ ამბების შესახებ გაზეთი სწერს: „ვილსონმა პირველსა და მესამე კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო. მეორე საკითხი, სამხედრო, უნდა განხილულ იქმნას, როგორც მოთხოვნა დაჭერილ ადგილების დაცლისა. ეს ჩვენ ასე უნდა გავიგოთ: წინასწარი ზავის შეკვრის წინ გერმანიამ თავისი თანხმობა უნდა განაცხადოს ამ მოთხოვნაზე: ხოლო მათი დაცლა უნდა დაიწყოს წინასწარი ზავის შეკვრისთანავე. ნებაყოფლობით დაცლა, წინასწარი ზავის შეკვრამდე კი მოასწავებს მას, რომ წინდაწინვე ხელი აიღო ყოველგვარ დაცვაზე მტერის მოქმედებისაგან და ამიტომ შეუძლებელიცაა.

იმავე აზრს იცავს „ბერლინერ ფოლკს ცაიტუნგი": დაჭერილ ადგილების დაცლა მხოლოდ წინასწარი ზავის შემდეგ შეიძლებაო; ხოლო წინასწარი ზავის დაწვრილებითი პირობები მთელ მსოფლიოს უნდა ეუწყოს, ყოველგვარ საიდუმლო შეთანხმების გარეშე.

გაზეთის აზრით, გერმანიის პასუხს შედეგად უნდა მოჰყვეს შეთანხმების დანარჩენ სახელმწიფოთა თანხმობა ვილსონის პროგრამაზე. ელზას-ლორენისა და პოლონეთის საკითხები, რომელიც

ვილსონმა ოთხ დეკლარაციაში წარმოადგინა, უნდა განხილულ იქმნას როგორც მთლიანი საკითხი და პროგრამის ყველა 23 მუხლი სავსებით შესრულებული. ყველაზე საგულისხმოდ გაზეთს მიაჩნია მე-18 და მე-13 მუხლები ვილსონის სიტყვაში, იანვრის 8-ს რომ წარმოსთქვა და ელზას-ლორენსა და პოლონეთს რომ ეხება. იქ ნათქვამია: „პროვინციები და ერები არ უნდა იქმნას გადასროლილი ერთ პოლიტიკურ ერთეულიდან მეორეში, ვითარცა უბრალო ნივთები და ან სათამაშო სახეები“. მესამე პრინციპი, რომელიც ვილსონის ამ სიტყვაშია წამოყენებული, ამბობს: „ყოველივე საკითხი, რომელიმე ტერიტორიის შესახებ, ამ ომის შემდეგ რომ აღიძრება, უნდა გადასწყდეს იმ ერის სასარგებლოდ, რომლის ინტერესებია შელახული“.

კოპენჰაგენის „ექსტრაბლადეტ“ დიდის სიხარულით მიესალმება გერმანიის პასუხს და სწერს: „თუ გერმანიის მტრები ასე შორს მიდიან თავის დაპყრობითი მოთხოვნებში, ზარალის ანაზღაურებაში, ნუ თუ არ შეიძლება, რომ ახლო მომავალში მდგომარეობა შეიცვალოს. ეს იმას ნიშნავს, რომ საპატიო ზავის ნაცვლად მივიღოთ ომი, გაორკეცებულის სიმწვავით წარმოებული. საზავო მუშაობის დამარცხება ფეხზე დააყენებს გერმანიის სახელმწიფოებს, როგორც ერთ კაცს თავის სამშობლოს დასაცავად. ცხადია, ამ საშიშროებას უნდა მოველოდეთ. გერმანელთა დათმობას შესაფერისად უნდა შეხვდნენ. აქ გამოჩნდება, თუ როგორი ავტორიტეტი და გავლენა აქვს მოპოებული ვილსონს და როგორ ისარგებლებს ის ამით. თუ მის არა ერთხელ განმეორებულ განცხადებებს დაუჯერებთ, ამერიკა ომში ჩაერია მხოლოდ იმისთვის, რომ დაეცვა ცივილიზაცია, თავისუფლება და სამართლიანობა. ჩვენ ყველაფერი ეს უნდა ვირწმუნოთ და მაშასადამე მისი გზაც ნათელია. მან უნდა იზრუნოს ზავზე და შეაკავოს მადა-გახსნილი მოკავშირეები ლონდონსა და პარიზში, რომელთა მიზანს შეადგენს არა ზავი და სამართლიანობა, არამედ ომი, შურისძიება და განადგურება. მთელი მსოფლიოს ყურადღება კვლავ ვაშინგტონის თეთრი სახლისაკენ არის მიქცეული.

დანიის ნოტა იწონებს და ოპტიმისტურად უყურებს გერმანიის საპასუხო ნოტას. დანიის გაზეთების აზრით გერმანიის ნოტამ უნდა უზრუნველჰყოს და სასურველად გადასჭრას საყოველთაო ზავის საკითხი. პრინციპალურად ზავი უკვე მომხდარი ფაქტიაო, აწ კაცობრიობა თავისუფლად ამოისუნთქავსო.

ლუგანო. 10—15 (ბერლინით). იტალიაში დიდი დემონსტრაცები ჰხდება ზავის სასარგებლოდ. ხოლო ცენზურა არ უშვებს ცნობებს მათ შესახებ. გაზეთ „ავანტის“ ოქტომბრის 8 და 9 ნომრები თეთრი სვეტებით იყო სავსე. მხოლოდ მილანის ქალაქის თავის მოწოდება გადაურჩა ცენზურას ქალაქის თავი თავის მოწოდებაში მადლობას უძღვნის ქალაქის მცხოვრებლებს, რომ იგინი სერიოზულად და კეთილშობილურად აწარმოებენ სამშვიდობო დემონსტრაციებს.

ბაზელი. 10—15. ოსმალეთის ელჩმა, თანახმად ჰავასის ცნობისა, ნოტა გაუგზავნა ესპანიის მთავრობას შეერთებულ შტატების გადასაცემად. ნოტაში ოსმალეთი წინადადებას იძლევა დროებითი ზავი ჩამოვაგდოთ და საზავო მოლაპარაკებასაც შეუდგეთ ვილსონის დებულებათა საფუძველზეო.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი 10—16. ფლანდრიაში მტერი განაგრძობს იერიშებს. მთავარი იერიში მან მოიტანა ტორნუტზე და იზეჰემ-კორტრიკის რკ. გზაზე. აგრეთვე სხვა ადგილებშიაც მოაქვს მტერს იერიშები. ზოგიერთ ადგილას ჩვენებმა დაიცვეს თავისი პოზიციები, ზოგან კი ბრძოლით დაიწიეს. ჩრდილო ფრთით ჩვენ ტორნუტი შევინარჩუნეთ. მტერი სცდილობდა წინ წაწეულიყო ჩრდილოეთის მიმართულებით ვერკესსა და ტორნუტს შუა. ჩვენ იგი შევაჩერეთ. ტორნუტის სამხრეთით ჩვენ დავიცავით ლინტერნფელდე—იზეჰემის ხაზი. იზეჰემის სამხრეთით მტერმა გადალახა იზეჰემ-კორტრიკის რკ, გზა.

რკ გზის აღმოსავლეთით მტერი შევაჩერეთ. ლილლის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ უკან დავიხიეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ბოხენსა და უაზას შუა მტერმა შეტევა იწყო. ბოხენ-ეზონვილლის გზატკეცილის ჩრდილოეთით ჩვენ მტერი ცეცხლის საშუალებით შევაჩერეთ. ეზონვილლი ჩვენ ხელში დარჩა მიუხედავად იმისა, რომ მტერმა რამდენჯერმე გაიმეორა იერიშები. აგრეთვე უნაყოფოდ ჩატარდა მტრის იერიშები უაზის ჩრდილოეთით. აქ თავი ისახელა ბავარიის მე-6 ქვეითა დივიზიამ. ბრძოლაა ჩვენი ახალი პოზიციების წინ, ლაონის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, და აგრეთვე ენის დასავლეთით. ამ ბრძოლაში ჩვენ დიდი ზარალი მივაყენეთ მტერს. აქ მტერი დაბანაკებულია ერის სამხრეთით და ლიეს-სიესონ-ლეტურ-სენ ჟერმანიონის ხაზზე. მდ. ენის ფრონტზე მზვერავთა რაზმების მოქმედებაა. ჩვენ გავწმინდეთ მდ. ენის გასწვრივ სექტორი ოლივისა და გრანდპრეს შუა. აქ ჩვენებმა იერიშზე გამოიწვიეს მტერი და იგი საგრძნობლად დააზარალეს.

ჰალვიცის ლაშქარი. არგონებსა და მაას შუა აფრიკელების იერიშები ცეცხლის და კონტრ-იერიშების საშუალებით დავამარცხეთ. მტერმა მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი არტილერია ჰყავდა ტ ჯავშნოსნებიც ჰშველოდა, მხოლოდ მცირეოდენი ტერიტორია დაიპყრო-მაასის დასავლეთ ნაპირის მტრის იერიშები ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა. ამერიკელები გუშინაც ძალიან დაზარალდნენ.

ბერლინი. 10—16 საღამოს ცნობა. როზელარის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხოსისთან, ეირსა და მაას შუა და მაასის აღმოსავლეთ ნაპირას მტრის იერიშები უნაყოფოდ ჩატარდა. ქალაქი დენესი, რომელიც ლტოლვილ ფრანგებით არის სავსე. ინგლისელთა არტილერიის ცეცხლშია გახვეული. მტერმა გუშინ სროლა აუტეხა ლიესის სამლოცველო ადგილებს, რომელთაც ჩვენ მუდამ სიფრთხილით ვეპყრობოდით ამ ომის განმავლობაში.

პარიზი. 10—16. ფრანგებმა გაიმარჯვეს სოსონის ჩრდილო დასავლეთით, სადაც მათ აიღეს ნოტრ-დამ-დენიესი, და გრანდირეს დასავლეთით, სადაც მათ გააფართოვეს თავისი დაპყრობანი.

ვენა. 10—16. კასო-როსოზე ჩვენმა ნაწილებმა იტალიელთა იერიშები შეაჩერეს.

სერბიასა და ალბანიაში ჩვენი ჯარის გადაჯგუფება მტრის დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

ზღვაზე.

ბერლინი. 10—15. ოფიციალურად. ატლანტის ოკეანეში ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა დალუპეს მტრის რამოდენიმე სავაჭრო გემი, სულ 41 ათასი ტონის სიდიდის. მათ რიცხვში რამდენიმე ჯავშნოსანი გემია და აგრეთვე საომარი მასალით დატვირთულიც.

ახალი ამბავი

◆ **სამხედრო ფორმისა და პაგონების ტარების აკრძალვა.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც იმ ოფიცრებს, ექიმებს და სამხედრო მოხელეებს ვინც საქართველოს მხედრობიდან ან სათადარიგოდ გადაირიცხა, ან სულ იქმნა დათხოვნილი, აკრძალული აქვთ ატარონ პაგონები და სამხედრო ფორმა.

◆ **ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში** გენერალ მაიორი მაყაშვილი დაინიშნა. ახალციხის ახალქალაქის რაიონში მომქმედ რეგულიარულ ჯარების და სახალხო გვარდიის ნაწილების სარდლად. მაყაშვილს გენერალ-გუბერნატორის უფლებები მიენიჭა.

◆ **ცხენთა მოშენება.** სამხედრო სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი საქართველოს სახელმწიფოში ცხენთა მოშენების შესახებ. აღნიშნულ პროექტით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო უწყებამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს საქართველოში ცხენების მოშენების კვლავ აღსადგენად, რასაც მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო და სამეურნეო ინტერესი.

◆ **ოჯახური საღამო.** შაბათს ოქტომბრის 19-ს ძმურ ნუგეშში გაიმართება ოჯახური საღამო. 5 საათ. დაუკრავს მუსიკა. სანოვაგის ფასები ჩვეულებრივია, გაიმართება აგრეთვე ამერიკული აუქციონი.

◆ **საქართველოს რესპუბლიკისა და დონის შორის საქონლის გაცვლის საკითხის შესახებ** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა დანიშნულ იქნეს კომისია გენერალურ შტაბის განყოფილების საარტილერიო სექციის უფროსის გენ-ლეიტენანტ ქუთათელაძის თავმჯდომარეობით. კომისიაში უნდა შევიდნენ გენერალ-მაიორი ყიფშიძე, პოლკ. თაყაიშვილი და საგანგებო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე არდიშვილი.

◆ **სამხედრო ტყვეების ჩამოსვლა.** გერმანიიდან ჩამოვიდა 70 ქართველი სამხედრო ტყვე.

◆ **წიგნის გამომცემელი საზოგადოება ბერლინში.** ბერლინში არსდება საზოგადოება, რომელიც გამოსცემს წიგნებს ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე. საზოგადოდ იმ ერთა ენებზე, რომელნიც საქართველოში სცხოვრობენ ხსენებულ საზოგადოების განყოფილება ტფილისში არსდება.

◆ **ბაქოს აღმ. კომ. წევრის ჩამოსვლა.** ბაქოს დროებით აღმასრულებელ კომიტეტის წევრი გ. აიოლლო ტფილისში ჩამოვიდა.

◆ **ცემენტი.** გზათა სამინისტროში მოსული ცნობით სადგურ ტაუზში 5000 „ბოჭკა“ ცემენტი არის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის საკუთრებას შეადგენს. ამის გამო გზათა სამინისტრომ შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა ადერბეიჯანის მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელს შუამდგომლობა აღძრულ იქნას, რათა ცემენტი საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოიტანონ.

◆ **ხიდის აშენება** ამ ჟამად სიჩქარით ათავებენ ხიდის შენებას ზუგდიდსა და ახალ-სენაკის შუა. ამ ხიდს დიდი მნიშვნელობა აქვს რადგანაც მის საშუალებით შეიძლება აფხაზეთში მისვლა მოსვლა.

◆ **ქუთაისის ქართული გიმნაზიის** საპედაგოგიო საბჭო შუამდგომლობს განათლების სამინისტროს წინაშე: ვინაიდან ქუთაისის გიმნაზიასთან სულ არ არსებობს ფიზიკური კაბინეთი და გიმნაზია ამ მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდის. ამიტომ განათლების სამინისტრომ დაუთმოს მას გაუქმებულ საკადეტო კორპუსის ფიზიკურ კაბინეთის იარაღთა სრული კომპლექტი.

◆ **სამხედრო ბინები და საქართველოს ჯარი.** საქართველოს ჯარების საბინო სექციის უფროსმა სამხედრო სამინისტროს წარუდგინა განმარტება სახელმწიფო კანტროლიორის საქართველოს სამხედრო ბინების შესახებ დასკვნის გამო. კანტროლიორის აზრით ის სამხედრო ბინები და ყაზარმები, რაიც ამ ჟამად საქართველოში მოიპოვება საკმარისია საქართველოს ჯარებისათვის. საბინო სექციის უფროსი კი ამას უარჰყოფს და ამტკიცებს, არსებული შენობები ვერ დაიტევენ საქართველოს ჯარებს და საჭიროა პირველ შესაძლებლობისთანავე ახალი სამხედრო საკმაო ბინების აშენება და ძველთა შეკეთებაო.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში** დღეს ოქტომბრის 18-ს საღამოს 7 საათზე სატეხნიკო საზოგადოების ბინაზე დანიშნულია გაგრძელება საზოგადო წლიური კრებისა.

◆ **განათლების სამინისტრომ** ყველა საშუალო სასწავლებელს აცნობა წარმოადგინონ მასწავლებელთა სია. აგრეთვე რა განათლების არიან და რა საგანს ასწავლიან; ამასთანავე უნდა წარმოადგინონ მოწაფეთა რაოდენობა

— კერძო გიმნაზიების მოწაფეებს ნება დაერთო სახელმწიფო გიმნაზიებში გამოუცდელად გადავიდნენ სათანადო კლასში.

◆ **გაფიცვა.** ოქტომბრის 16-ს ქალთა უმაღლეს კურსების საექიმო ფაკულტეტის კურსელ ქალების და სტუდენტების საზოგადო კრებაზე დადგენილ იქმნა გამოცხადდეს გაფიცვა, რადგანაც მათი შუამდგომლობა, მინიმუმის ვადის გაგრძელება შეწყნარებულ არ იქნა.

◆ **სროლა.** ღამით ოქტომბრის 16-ს დეზერტირთა ბაზარში როსაშვილის მაღაზიას შეიარაღებულ ბოროტმოქმედნი დაეცნენ გაძარცვის მიზნით. აღნიშნულ ადგილას ადგილობრივი მილიციელები მოვიდნენ. ასტყდა გაძლიერებული სროლა მაგრამ ბოროტმოქმედებმა მოასწრეს გაქცევა.

◆ **ერობის ზარშემო** თელავიდან მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: „თელავის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობა სიხარულს გამოსთქვამს ქართველი დემოკრატიის გამარჯვების გამო რომელმაც მშრომელთ მოანიჭა ერობა —ეს საუკეთესო საშუალება კულტური აყვავებისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. გამოსთქვამს რა თავის სიხარულს, ყრილობა სალამს გიძღვნის თქვენ, დემოკრატიულ რესპუბლიკის სათავეში მდგომს, და ფიცსა სდებს, რომ მთავრობასთან ერთად იმუშავებს პროგრესისა და კულტურის საქმისათვის.

◆ **ებრაელთა ყრილობა ტფილისში.** როგორც ადგილობრივი რუსული გაზეთებიდან ვიცით, ტფილისის ებრაელების ეროვნულ საბჭოს მიერ ღვინობისთვის 10-ს მოწვეული იყო ტფილისში მთელი საქართველოს ებრაელების ყრილობა, რომელიც მერე გადიდო 15-სთვის. ამ ყრილობის მოწვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველ ისრაელთა შორის, და გარდა იმ საპროტესტო განცხადებისა, რომელიც ქუთაისელ ებრაელებმა წარუდგინეს მთავრობას, მრავალი საპროტესტო დეპეშები და წერილები მოსდის ქართულ გაზეთებსაც ხსენებულ ყრილობის საწინააღმდეგოდ ჩვენი ქვეყნის ყველა იმ სოფლებისა და დაბებისაგან, სადაც ქართველი ისრაელები მოსახლეობენ.

◆ **აბასთუმანი.** მიმღები კომისიის გამოანგარიშებით ოსმალთა ჯარმა აბასთუმანს 3—4 მილიონის ზარალი მიაყენა.

◆ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 4 ხოლერიანი და 1 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. მორჩა 2.

სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი

(დასასრული *)

რამდენი შეცდენილი და მიტოვებული ახალგაზრდა ქალი იღუპება ფიზიკურად და ზნეობრივად, რაც ხელს უწყობს და თითქმის საფუძვლად ედება ქვეყნიერებაზე კაცობრიობისათვის სასირცხოდ, მოვლენილს, პროსტიტუციას, რომლის შესახებაც ჩვენ საუბარი გვექნება შემდეგ წერილებში. რამდენი გადაგდებული ბავშვი იზრდება ავაზაკად, რა საშიშარი სოციალური მოვლენაა ეს „პატარა მაწანწალები“. ჩვენ ვიცით, როგორ არა სასურველად არის დაყენებული სახელმწიფო მფარველობის საქმე უბინაო ბავშვებისათვის, სრულიად არ ზრუნავდა სახელმწიფო იმ დედების შესახებ, რომლის შვილებიც მიატოვეს მამებმა. ჩვენ კი უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ენერგიული ზომები მიიღოს, რომ დედობა ქალისათვის არავითარ პირობებში სათაკილო და აუტანელი არ იყოს, რომ არც ერთი უბინაო, გადაგდებული ბავშვი არ დარჩეს უმწეოდ და გაუწვრთვნელი, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს ამათთვის. ჩვენ, რასაკვირველია არ მოვითხოვთ ჩვენი ნორჩ სახელმწიფოსაგან ამ დიდი საქმეების დაუყონებლივ მოგვარებას, მაგრამ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ამ საკითხების თანდათანობით გარჩევა და გადაწყვეტა უნდა იკისროს ყოველმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, ყველა შემთხვევაში იმისმა მთავრობამ მსჯელობის საგნად უნდა გაიხადოს ის ახლავე და იფიქროს, რის გაკეთება შეიძლება ამ დარგში ახლავე, და რანაირი გეგმით უნდა შეუდგეს მუშაობას ახლო მომავალში. რომ არ სწარმოებს მუშაობა ამ დარგში, ჩვენ შეგვიძლია ეს ავხსნათ მხოლოდ იმით, რომ ქალები, რომლებიც ყველაზე უფრო ახლო სდგანან და მეტად არიან ამ საკითხების გადაწყვეტით დაინტერესებულნი, არ ღებულობენ საკმაო მონაწილეობას სახელმწიფოს შენების საქმეში.

ჩვენმა რესპუბლიკამ უნდა შექმნას კანონების კრებული, როგორც ვიცით ძველი კანონმდებლობა ყოველნაირ უპირატესობას მამაკაცს ანიჭებდა, და ამ კანონის შეცვლის დროს აუცილებელია თვალყურის დევნება, რომ არავითარ ძველ უსამართლობას არ ჰქონდეს ადგილი და არ დაარღვიოს უფლებათა ნორმების დარგში ქალთა უფლებები. და აქაც ამ საქმისათვის საჭიროა სახელმწიფოს საკანონმდებლო მუშაობაში ენერგიული, აქტიური მონაწილეობა ქალებისა.

შეუძლებელია საჩქაროდ დაწერილ საგაზეთო წერილში შეეხო ყველა იმ, დიად მნიშვნელოვან სახელმწიფოს საკითხებს, რომლების გარკვევა-გადაწყვეტის დროს ქალებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა; უფრო სწორი იქნება ვსთქვათ, რომ ამ საკითხების კანონიერად გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება, თუ ქალი არ მიიღებს მონაწილეობას. ავიღოთ თუნდა პედაგოგიური საკითხები: ჩვენი აზრით ამ დარგში ბავშვების აღზრდის საკითხში ქალმა უნდა გააკეთოს და შესძლებს კიდევაც ბევრის გაკეთებას.

მაგრამ მაინც, თუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პედაგოგიურ საქმეში ვერაფერს განსაკუთრებულს თავისებურს ქალი ვერ შეიტანს (ჩვენი აზრით ეს მოსაზრება შემცდარია), იმაში კი არ შეიძლება ეჭვი, რომ ეგრედწოდებულ სასკოლო ჰასაკამდის აღზრდის საქმეში ქალს ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა მოწყობა იასლებისა *), საზოგადოებრივ და სახელმწიფო საბავშო ბაღებისა, საბავშო კლუბებისა ქალაქებში და სოფლებში, ერთი სიტყვით ყველა საკითხი სასკოლო ჰასაკამდის, ამას გარდა სკოლის გარეშე აღზრდა-განათლებისა, რომლის მნიშვნელობაც სახელმწიფოსათვის ახლა უკვე შეგნებული აქვს ყველგან მოწინავე კაცობრიობას, შესაძლებელია გამოირკვეს და გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის აქტიური მონაწილეობით; რადგანაც ქალი ამ საქმის სწრაფ და სწორად მოწყობა-გადაწყვეტაში ძლიერ არის დაინტერესებული. რასაკვირველია, თუ ასე ცოტა არის ამ მხრით გაკეთებული, შეიძლება ავხსნათ მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ქალი ერთობ მცირე მონაწილეობას იღებს თავის სამშობლოს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

თუმცა ამ წერილში გაკვრით შევეხეთ საკითხებს, მაგრამ ესეც საკმაო მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქალს სახელმწიფოსათვის. დიდი საქმეები დააკისრა ქართველ ქალებს ისტორიამ. ისტორიამ მიანიჭა მას ისეთი უფლებები რომლის მოპოვებისათვის ამაოდ იბრძვიან საფრანგეთისა და ინგლისის ქალები, რომელიც მიუწდომელ ოცნებად გამხდარა ყველა განათლებულ ქვეყნების ქალთათვის.

მაგრამ არ ყოფილა ისტორიაში ისეთი მაგალითი, რომ ხალხს, კლასს ან ხალხის ჯგუფს, რომელსაც არ ესარგებლოს იმ უფლებით, რომელიც წილად ხვდა მას და შეენარჩუნებინოს კი ეს უფლებები. თუ ჩვენ, ქართველი ქალები არ ვისარგებლებთ უფლებებით, არ მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს შემოქმედებით მუშაობაში, დავკარგავთ მოპოებულ უფლებებს. და ეს კი უბედურება იქნება არა მარტო ქალებისათვის არამედ მთელი ჩვენი ერისათვის. მართლაც ქალებმა რომ არ მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, სისწორით შეუძლებელია იმ საკითხების გადაჭრა, რომელთა შესახებ ზევით გვქონდა საუბარი და რომლებიც ქალისათვის უფრო მახლობელი და საგულისხმიეროა, ვიდრე მამაკაცისათვის; მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფოსათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება, რომ ხალხის მთელმა ნახევარმა უარჰყოს ეს მონაწილეობა შეძენით კი სახელმწიფო ბევრს შეიძენს როცა მთელი ნახევარი ამოუდგება გვერდში ხალხს საერთო მუშაობაში სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ცხოვრების შექმნისა და განმტკიცება-განვითარების სათვის.

ქართველი ქალის გამოფხიზლება აქტიურ სამოქმედოდ. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა თავისუფლების დასაცავად და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრების საფუძველთა განსავითარებლად,—აი ის საპატიო საკითხები, რომლებიც უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს ახლავე ჩვენი ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ და რასაკვირველია ყველაზე უწინ ამაზე უნდა იფიქროს და იზრუნოს თვითონ ქალმა. მჭიდროდ შეკავშირება, მტკიცე ორგანიზაცია, მსჯელობა ამ საქმეზე, ამ საკითხების გარკვევა-განხილვა და წეხრიგში დასმა, რადგანაც ამ საკითხების გადაწყვეტით ყველაზე მეტად ქალია დაინტერესებული, აქტიური მონაწილეობა საზოგადოდ ყველა საკითხებში, რომლებიც აღელვებს ჩვენ სახელმწიფოს, და ბოლოს ბრძოლა იმ დახავსებულ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის ქალს სავსებით გაშალოს თავისი ნიჭი და ძალღონე, რომ გახდეს თავის სამშობლოს სრულუფლებიან მოქალაქედ აი ის საკითხები. რომლებიც მოითხოვს დაუყონებლივ გადაწყვეტას ქალისაგან და რომლის განხორციელებასაც მთელი თავის ენერგიით უნდა შეუდგეს ქართველი ქალი.

ეხლა, როდესაც სამშობლო მოითხოვს აქტიურ მუშაობას ყველა მოქალაქეთაგან, ქალმა რომ არ შეიტანოს ამ სამშობლოს სახელმწიფოს შენებაში თავისი წილი ძალღონე, ნიშანი იმისი რომ თავისი თავი ამ სამშობლოს ღირსს შვილად გამოაცხადოს. ახლა გაჩუმება, დამოუკიდებელ თავისებურ ორიგინალურ სიტყვის უთქმელობა, ცხოვრებაში რამ ახალის შეუტანლობა ნიშანი იქნება იმისი, რომ ქალს არაფერი აქვს სათქმელი, რომ მას არ შეუძლიან თავისებური რამ შესძინოს ცხოვრებას.

მაგრამ ჩვენ გვწამს, ქართველი ქალი მოახერხებს გახდეს ღირსეული მოქალაქე თავის ქვეყნისა, ღირსეული და იმ ქალებისა, რომლებიც ამბობენ რომ ქალების მონაწილეობა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განაახლებს და გააუმჯობესებს ერთა კანონმდებლობასა და ცხოვრებასო.

ნინო ნაკაშიძე.

---

*) იხ. „სახ. საქ.“ № 358.

*) იასლი ჩვენებურად ნიშნავს ბაგას იმნაირი დაწესებულებაა, სადაც ძუძუთა ბავშვებს ინახავენ, უმეტესად ქარხნებში მომუშავე ქალები აბარებენ იქ მთელი დღით ბავშვებს მუშაობის დროს ბავშვებს იქ უვლი ნ, საღამოს კი ბავშვები მიჰყავთ დედებს.

გარდაიცვალა 1. ოქტომბრის 16-ს სულ იყო 38 ხოლერიანი და 13 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

◆ **ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებანი.** ქალაქის გამგეობამგეობამ გადაწყვიტა: ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ადგილების ფასი ერთი ორად იქნეს გადიდებული.

— ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურებს აქამდე არ მიუღიათ აგვისტოს და სექტემბრის ჯამაგირი, რის გამოც მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა სთხოვა ნისიად მისცენ მათ პური, ქალაქის გამგეობამ ეს შუამდგომლობა გადასცა მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოებას, რომელიც ქალაქის თავის ამხანაგის მ. კონიაშვილის და მთავარ კონტროლიორის მონაწილეობით განიხილავს.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ტფილისის საგუბერნიო ყრილობა საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა დანიშნულია ოქტომბრის 20-ს, დილის 10 საათზე ტფილისის პარტიულ კლუბში. საგანი ყრილობისა 1. მოხსენება საგუბ. კომიტეტისა. 2. მიმდინარე საკითხები 3. საგუბერნიო კომიტეტის არჩევნები ორგანიზაციებს ევალებათ თითო წარმომადგენლის გამოგზავნა მაინც.

—

სოც.-ფედ. სარ. პარ. ტფ. კომიტეტის კრება. დღეს, პარასკევს საღამოს 7 ს. დანიშნულია ტფილისის ახლად არჩეული კომიტეტის კრება პარტიის ბინაზე ლორის მელიქოვის ქ. № 1.

—

ტფილისის კომიტეტის არჩევნები მოხდა ოთხშაბათს, ოქტომბრის 16-ს პარტიულ კლუბში. კრების დასაწყისისას ამხ. გრიგოლ რცხილაძემ, რომელსაც ხალხი ტაშით შეეგება—მოკლე მოხსენება წაიკითხა სტამბოლის კონფერენციაზე.

ტფილისის კომიტეტის წევრებად აირჩიეს: მიხ. აბრამიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნიკ. უსტიაშვილი, გ. კიკნაძე, შ. ასათიანი, ივ. დუშურაშვილი, გაბრ. გამრეკელი. ქ. კობახიძე და ვ. პაატაშვილი სარევიზიო კომისიაში: ვახტანგ მუსხელიშვილი, ვ. კოტეტიშვილი.

ცეცხლი საჩხერეში

ღვინობისთვის 12-ს საბედისწერო დღე გაუთენდათ საჩხერლებს. ჯერ კიდევ ოსებისაგან აწიოკებული და შეშინებული ხალხი გონს ვერ მოსულიყო, რომ ახლა კიდევ ახალი უბედურება დაატყდათ თავს. ღამის 2 საათზე გამოურკვეველ მიზეზის გამო გაუჩნდა ცეცხლი მ. კაპანაძის სახლს. საჩხერეში ცეცხლის მქრობელი რაზმი არ მოიპოვება; ამიტომაც ცეცხლი სწრაფად გაძლიერდა და მოედო ახლო მდგომარე სახლებსა და მაღაზიებს. ღამის 2 საათიდან დღის 2 საათამდის ცეცხლი არ შეჩერებულა და ორ წყებად ანადგურებდა საჩხერის საუკეთესო ნაწილს. დაიწვა აუარებელი სიმდიდრე ძმების კაპანაძეების, ვ. ბეგალოვის, ბაზელაშვილების, ხოჯაშვილისა და სხვ.

დაიწვა მშვენიერი და მდიდარი სამკითხველო აკაკის სახელობისა. დაიწვებოდა სულ მთელი საჩხერე, რომ ხალხი არ მიშველებოდათ და რამდენიმე სახლი არ დაენგრიათ, რათა ცეცხლისთვის გზა გადაეღობათ. 2 საათზე ცეცხლი, როგორც იქნა ჩააქრეს, მაგრამ ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩა მრავალი ოჯახი.

აღსანიშნავია ჩვენი ხალხის დაუდევრობა. საჩხერეში ცეცხლი მრავალჯერ გაჩენილა. ამ რამდენიმე წლის წინად სრულიად გადაიბუგა ებრაელთა უბანი, მაგრამ საჩხერლებმა ჭკუა ვერ ისწავლეს და ცეცხლის მქრობელი რაზმი ვერ მოაწყვეს. დროა ეხლა მაინც ჩაუფიქრდნენ ამ მდგომარეობას. დ.

ხონის ქალაქის თვითმართველობა

ოქტომბრის ხუთს სრულიად შემთხვევით დავესწარი ხონის ქალაქის საბჭოს სხდომას. გულდასმით მოვისმინე წამოყენებულ საკითხებზედ სჯა-ბაასი და უნდა გითხრათ, რომ თუ მეტი შემოქმედი ძალები არა გვყავს პროვინციაში, ჩვენი საშველი არ ყოფილა.

საბჭოს წევრთა უმრავლესობა თვალებში შესცქეროდა მომხსენებელს—გამგეობის წევრს და უკამათოდ მხარს უჭერს მომხსენებლის დასკვნებს ამა თუ იმ წამოყენებულ საკითხებზე.

პირველი მნიშვნელოვანი საკითხი ხოლერასთან ბრძოლის საკითხი იყო. ქალაქის თავის მოადგილემ მოქალაქე ილია რუხაძემ მოახსენა საბჭოს, რომ ხოლერა ხონში თან და თან ფეხს იკიდებს. უკვე ოთხი სული იმსხვერპლა და თუ სწრაფი სანიტარული ზომები არ იქნებოდა მიღებული, ქალაქი დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა, მაგრამ გამგეობამ ხოლერასთან საბრძოლველად ყოველი ღონე იხმარა და სათანადო ზომებიც მიიღოო. რაში გამოიხატა ეს სათანადო ზომები, ვერ გავიგე, ნუ თუ იმაში, რომ გამგეობამ ერთი კაცი იქირავა დროგით, რომელიც ერთსა და იმავე დროს სანიტარიც არის, ავადმყოფის მომვლელიც და მესაფლავეც, ქალაქიდან ნეხვსაც ეზიდება და მკვდრებსაც... ჩინებულია... ნუ თუ ამას უძახის ბ-ნი ილია რუხაძე სათანადო ზომებს?.

რაც შეეხება საბჭოს, ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამს და მიანდო გამგეობას იმოქმედოს ისე, როგორც ამდენ ხანს უმოქმედნია.

ქალაქს საავადმყოფოს ინვენტარი შეუძენია და აგერ მეოთხე თვე გადის ექიმსაც ჯამაგირს აძლევს; მიუხედავად ამისა, დღემდის საავადმყოფო არსად სჩანს და ექიმისათვის კი ერთი ოთახიც ვერ მიუციათ ქალაქის ახლოს, რომ შეეძლოს ამბულატორია მოაწყოს და მოსიარულე ავადმყოფები მიიღოს

ქალაქის თავის მოადგილემ მოახსენა კრებას, რომ ჩარჩები საშინელ სპეკულიაციას ეწევიან: ყიდულობენ ადგილობრივ და ახლო მახლო სოფლებში სიმინდს, გააქვთ სხვა ქალაქებში და იქ მყიდველს ტყავს აძრობენ; ჩვენ არსებულ კანონის მიხედვით უფლება არ გვაქვს სიმინდი დავაკავოთო. მომხსენებელი მოითხოვს საბჭოსაგან გამოთქვას თავის მოსაზრება, თუ რა საშვალებას მიმართოს გამგეობამ, რომ ქალაქი უსიმინდოდ არ დარჩეს.

საბჭო ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხსაც დუმილით შეხვდა და მიანდო იმავ გამგეობას მოიქცეს ისე, როგორც საჭიროდ დაინახოს.

როგორც მახსოვს, ხონის ქალაქის თავმა მოქალაქე ივანე ჰავჰანიძემ ივლისში ფულიც შეკრიბა, ხალხს გამოუცხადა, ერთ კვირაში თეთრ პურს ელოდეთო, ამისათვის ის კიდეც გაემგზავრა სოხუმს, და თუ ეს მაშინ იყო საჭირო, დღეს რით შეიცვალა მდგომარეობა, თუ იმითი რომ წელს კარგი მოსავალია? განა მაშინ აკლდა ხონის რაიონს სიმინდი? არა, მაგრამ თავისუფალ სპეკულიაციით აწეულ ფასს ვერ იხდიდა ღარიბი მოქალაქე. თუ ეს ასეა, რა უშლის ხონის ქალაქის თავს ხელს იმ თანხით, რომლითაც ის სოხუმს გაიქცა, ადგილობრივ იყიდოს სიმინდი. და როდესაც საჭიროება მოითხოვს ხელსაყრელ ფასებში მიაწოდოს მოქალაქეთ და ამით ბაზარზე ერთგვარი გავლენა მოახდინოს.

ფრიად საყურადღებოა ერთი საკითხიც ხონის ქალაქის თვითმართველობის თანახმად არსებულ კანონისა განზრახული ჰქონია ჩაიბაროს ხონის დაბალი ხარისხის სასწავლებლები. მაგრამ ქალაქს დღემდის არც ფორმალურად და არც ფაქტიურად არ ჩაუბარებია სამინისტროს არც ერთი სასწავლებელი. მიუხედავად ამისა ქალაქის საბჭოსთან არსებულ სასკოლო კომისიას უკვე თავისი განკარგულებით დაუნიშნავს სამინისტროს სასწავლებელში (სახელოსნო სკოლა) თავისი მასწავლებელი. გამგეობას ამის შესახებ სამინისტროს დაბალ სკოლების გამგისაგან დეპეშაც მიუღია, რომ მას უფლება არა აქვს ჩაერიოს სამინისტროს სკოლების საქმეებში, ვიდრე სკოლა არ ჩაუბარებია.

ეს ჩემის აზრით ანბანური ჭეშმარიტებაა და რატომ ჩაიდინა ეს სასკოლო კომისიამ, მაკვირვებს სხვა არა იყოს რა ეს მთავრობის უფლების შელახვაა. ჩვენმა პარტიულმა ამხანაგმა საბჭოს აღნიშნულ კრებაზედ ამ საკითხის შესახებ შეკითხვა შეიტანა. საბჭოს წევრმა ვარლამ ხუროძემ ეგ საკითხი პრინციპის საკითხად დასახა: „აქ ორი პოლიტიკა დაეჯახა ერთმანეთს და ვიდრე აქ განიხილებოდეს, ფრაქციებმა უნდა ასწონ-დასწონონო“. თან ჩაიბუტბუტა— ეს დეპეშა უკან უნდა დაუბრუნდეს მის გამომგზავნსო.

რაში გამოიხატებოდა აქ ორი პოლიტიკა? ბ-ნმა ხუროძემ კარგად იცოდეს, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებს და განკარგულებებს. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა სათანადო ორგანიზაციამ ყურადღება მიაქციოს პროვინციის ასეთ კაცუნებს და ნუ დაუშვებს იმას, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტება პოლიტიკის საკითხად გადააქციონ და ამით საერთო საქმიანობის აუცილებლობის დროს შური ჩამოაგდონ ურთიერთ შორის.

სხვათა შორის ვსარგებლობ რა შემთხვევით მინდა ერთიც რამ აღვნიშნო. ხონის სასტატისტიკო ბიუროს (?) მიხედვით, როგორც გამოირკვა, ქალაქის თავი, მის შემდეგ, რაც თავისი სვე-ბედი ხონმა მას ჩააბარა, სულ ოთხჯერ ჩასულა ხონში. მოქალაქეთ ვერ გაუგიათ, რით არის ბატონი ივანე შეურაცხყოფილი... მიუხედავად იმისა, რომ დიდი ენერგიის კაცია—ის ცოტა ფანტაზიებს გაუტაცნია და ქალაქის უახლოესი და უსაჭიროესი მოთხოვნილებანი დავიწყებია. ს. ჩ.

სოფლის მასწავლებელი

ისეთი უანგარო, თავდადებული, პირნათლად და შეგნებულად ამსრულებელი თავის მოვალეობისა, როგორიც არის ჩვენი სოფლის მასწავლებელი განა არის კიდევ ვინმე ჩვენს ცხოვრების ატალახებულს ზედაპირზე? და ვინ არ იცის, თუ რა წვალება, შიმშილი, უსახლკარობა, სიცივე და სხვა გადაუტანია ჩვენი სოფლის მასწავლებელს, მაგრამ მას მაინც არ უღალატნია თავის წმინდა და დიდ მიზნისათვის და მედგრად, ურყევად მიდიოდა ის სოფლის ბელადად მის ეკლიან გზაზე. განა არის კიდევ სხვა ოჯახი ისეთი სათნო, მშვიდი, სიყვარულით აღსავსე და წმინდა, ვიჯრე სოფლის მასწავლებლის პატარა, მაგრამ უხვი ოჯახი. სოფლის მასწავლებლის პატარა, მაგრამ მტკიცე წრე?! ეს ერთად ერთი წრეა, რომელსაც ჭუჭყი არ მიეკარება. და დღეს, როდესაც ხედავ მათ ზეიმს გაეროვნებულ სკოლაში.., დიახ ზეიმია სოფლის მასწავლებლისათვის ეროვნულ ნიადაგზე დგომა, რადგან აქ მისი შრომა უფრო უხვი და ბევრად ნაყოფიერი იქმნება, ვიდრე წინედ იყო, და როცა ხედავ მოსხივოსნე თვალებს, შენც ენთები სიხარულის ცეცხლით და მათთან ერთად ხარობ.. მაგრამ გული გიკვდება და გწყინს როცა ხედავ ამ მყუდრო და მშვიდ წრეში ვინმე უღირს ადამიანს, რომელიც თავის ვიწრო გონებით და ტალახიან ხელებით ამცირებს სოფლის მასწავლებლის წმინდა სახელს; შეურაცყოფილად ჰგრძნობ თავს, როცა ხედავ, თუ როგორ შეურაცყოფს ასეთი ადამიანი სოფლის მასწავლებლის დანიშნულებას მასწავლებლისათვის უღირს საქციელით და უღირსად სოფლის მასწავლებლის სათნო სახელის ტარებით. რა არის, თუ არა დამცირება სოფლის მასწავლებლის უმწიკვლო სახელისა, როცა ადამიანი რომელიც შემთხვევით ატარებს სოფლის მასწავლებლის დიდად პასუხ საგებ სახელს იმდენად წვრილმანი და გონებით ღარიბია, რომ დილით საათს წინ წაწევს და როცა დანარჩენი მასწავლებლები მოვლენ სასწავლებლებში, ხალხში ასეთს დემაგოგიას ეწევა: „აი, ვინ არიან სოციალისტ-ფედერალისტები ბატონობას დაჩვეული ხალხი და აი, აქაც ბატონობა ჰსურთ და ბატონებივით გვიან მოდიანო“. და მრავალს ასეთს ფაქტს მოვიყვანდი მაგრამ ზედმეტად და დამცირებად მიმაჩნია ასეთი ჭუჭყის გაზეთის ფურცლებზე გამოტანა, ხოლო საკმარისია ვსთქვა, რომ ეს მასწავლებელი გადის ხალხში და ამხედრებს დანარჩენ ამხანაგების საწინააღმდეგოდ, თიშავს მასწავლებელთა წრეს და მთელი თავის არსებობით შეაქვს დისონანსი სოფლის მასწავლებელთა ლამაზ და ღრმად მნიშვნელოვან ცხოვრებაში. ასეთი ადამიანი გახლავთ სოფელ აბაშის მასწავლებელი ვინმე **გეკენავა**. მართალია ასეთი პირები გამონაკლისს შეადგენენ, მაგრამ ეს გამონაკლისიც ძირშივე უნდა იყვეს მოსპობილი, რომ სოფლის მასწავლებლის წმინდა სახელს არ ლანძღავდეს და ხელს არ უშლიდეს მის წმინდა საქმიანობას ამას თვით ამხანაგებმა უნდა მიაქციონ ყურადღება № №

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

„სახალხო საქმის“ 352 №-ში მოთავსებულია წერილი მოქ. ჯვ იოსელიანის „ერობის პოლიტიკაზე“, სადაც სენაკის მაზრის ერობის ხარჯთ-აღრიცხვაზე სინამდვილე'თან შორს მდგომი აზრებია გამოთქმული, რაც აიხსნება იმით, რომ სწორი ინფორმაცია არ იყო ქართულ პრესაში.

ამ მოკლე ხანში ერობის წარმომადგენლები წარსდგებიან მთელი ხარჯთ აღრიცხვით და ვრცელი მოხსენებით მთავრობის წინაშე, რომლის შემდეგ შესაძლებელია ლაპარაკი ჩვენი საერობო მოღვაწეობის ღირსება ნაკლულევანებაზე.

გამგეობის თავმჯდომარე **იოსებ სალაყაია.** მდივანი **გრ. კანკავა.**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

დაიკარგა ტყავის საფულე, საჭირო საბუთებით: შიგ იყო პასპორტი, დუქნის ქირის წიგნაკი. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს დოკუმენტები. ანდრეევის ქ. № 58, ვეფხვაძე. 5060

იყიდება ეტლი ხელმისაწვდენ ფასში. მისამართი: ანდრეევის ქ. № 58 533

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაზშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას, სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სურგუევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ფოევების ძეგლის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დ მიტრი იოსების ძე შორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ქირურგიული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდუბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელექტრონიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. მ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენშტეინისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაქებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

ექიმი ნ. ლ. ტუჩაბაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ლ. ა. ხარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ი. ბერიშვილი. მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკის, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო. მუდმივი ხელმძღ.-ლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ექ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა

ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტიხიანი 9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ხ გ ავეტიხიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ ბარონის ქუჩა